

1958

№ 1

იანვარი თბილისი

1958

სიგე

გამოცემის XXXVI წელი უბანი 2 მან.

ნახ. ა. კანდელიძე

ქრონული
ბიბლიოთეკა

NI-24



ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელის სტალინის სახ. კოლმეურნეობაში თხის რძის მიმატებით შეასრულეს ძროხების წველადობის ვიგმა.

— რას იპრანებთ ეს ჩვენი ცანცარა, თუ იცი?
 — ჩვენი თავმჯდომარე მაგის რძეს ძროხას რძედ ახალებს და მაგ სულელს თავი ძროხა ჰგონია.

უტყუარი საბუთი



ერთი ნაცნობი მიმტკიცებდა, ცოლქმრობის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი ქორწინების მოწმობაა. ეს ასეა, მაგრამ ქორწინების მოწმობა, რაც არ უნდა იყოს, ქალადია და სადმე დაკარგავ, მე კი ისეთი მოწმობა ვიცო, რომელსაც ვერც წვალში ჩაძირავ, ვერც ცეცხლში დაწვავ, იალბუხზე რომ ახვიდე, თან გამოგყვება, თუ ცოლი გვერდით გყავს და, ცოლი თუ აღარ გყავდა, საბუთი რაღად გინდა!

ერთი სიტყვით, ყური დამიდგეთ. და ამ საბუთსაც გაგაცნობთ.

შარშან მოსკოვში სამუშაოდ გამამწესეს. გამგზავრების დღეს შინ მეწევა ერთი გულითადი მეგობარი და მეუბნება: თუ იცი, რომ მოსკოვში ცოლს ვერ გაწერ ბინაში. რატომ-მეთქი? — ვეკითხები. რატომ და, ცოლთან დაქორწინებული არ ხარ და, თუ დღესვე ხელი არ მოაწერე, ის დაგემართება, რაც გითხარო.

წახდა ჩემი მგზავრობა ვიფიქრე და შევძახე: წავიდეთ და ახლავ მოვაწეროთ ხელი!

ჩემს თინას წარბივ არ შეუხრია. გამანადგურებლად გადმოხედდა და ტუჩაბზეკით მითხრა: არავის ვაცივებ ჩემზე, დაბერდენ და ხელის მოსაწერად ახლა მორბიანო!

მართალი იყო თინათინი, მაგრამ, ვთქვი და აღარ დავთმე. შეიქნა აურხაური, ჩვეულები-სამებრ თინა ერთს ამბობდა. მე—მეორეს, ნახევარი საათის შემდეგ მმაჩის ბიუროს კარი შევალეთ.

გამგემ ერთი კი გადახედა გამომცდელად ჩემს შეთვთრებულ საფეთქლებს, მერე ჩემი ცოლის ნაოჭებს სახეზე. „ნდაა“—ო გააგრძელა და სტანდარტული განცხადებები გადმოგაწოდა. გულდაგულ გავეცი პასუხი ყველა კითხვას და, თითქოს ჩემს ქორწილში მომარჯვებული ყანწი მჭეროდეს. ისე გადაგაწოდე.

რომელ დღეს აირჩევთ? მეკითხება გამგე.

გავეოცდი. აქ ვართ და ბარემ ხელსაც მოვაწერთ-მეთქი.

გამგეს გავეცინა. ასე არ შეიძლებაო, მითხრა, სამი დღის შემდეგ მობრძანდით, ასეთია წესიო.

წამიხდა ნირი. წესი კარგი ყოფილა, მაგრამ მე ნამდვილად დამლუპავს. ვეხვეწები, დღეს მოსკოვში მივედივარ და, თუ მომცემთ მოწმობას, ხომ კარგი, არადა, დავილუპე-მეთქი.

— სამი დღით ადრე უნდა გამოგველოთ. — მშვილად მიხსნის გამგე.

— სხვათა შორის,—ჩაერია ლაპარაკში თინათინი,—ჩვენ გუშინდელი ცოლ-ქმარი კი არ გვეგონოთ. უკვე ჩვიდმეტი წელია ამისი ცოლი ვარ და თექვსმეტი წლის მართლ გოგო გყავს!

— ესე იგი ჩვიდმეტი წლის წინ უნდა გამოგველოთ. — ისევ უშფოთველად ამბობს გამგე.

ავენთე. თინამ სტაცა ხელი ჩანთას, გადმოაპირქვევა და, რაც კი ერთად გადაღებული სურათები გექონდა, წინ დაუყარა.

— ეს არაა საბუთი. — აცხადებს გამგე.

თინა დამცინავად შემომტკერის. ვგრძნობ კიდევ, სიშნს როგორ მიგებს—ხომ შერცხვიო. მე გამგეს მივუბრუნდი:

— პასპორტები გასინჯეთ. ერთ ბინაში ვართ ჩაწერილი!

— ერთ ბინაში კი არა, ერთ ეზოში. იქნებ მეზობლები ხართ, მე რა ვიცი. იქნებ თქვენ ცოლი გყავთ, ამას—ქმარი და ერთბანეთს ოჯახს ურევთ. ეს ყველაფერი ამ სამ დღეში უნდა შემოწმდეს. ჯერჯერობით რაც მაჩვენეთ, საბუთი არაა.

— აბა რაა საბუთი? დღეს რომ გოგო-ბიჭები მოვლენ, ხელს რომ მოაწერენ, და ზეგ რომ გაიყრებიან, ის?!

აქ უკვე ჩემმა თინამაც ვერ მოითმინა, ან კი ამდენ ხანს როგორ ითმინა. მიეჭრა გამგეს და რომელ მოლაპარაკეს არ შეშურდებოდა, ისე

სხაპასუპით მიაჯარა, რომ ჩვენ ჩვიდმეტი წლის ცოლ-ქმარი ვართ.

ჩემი თინა თავმოყვარეა, ახლა გაცეცხლდა და თავს ანგარიშს არ უწევდა, როგორცაა რაღაცას. ბრაზი მომივიდა.

— რა გალაპარაკებს, ქალო, — შევუხვირე მე, — ვერ გაჩერდები შენთვის? ხომ ხედავ ჩვენი არაფერი სჯერათ.

— სადაც შენ ჩაერევი, იქ რას დაგიჯერებენ? — ამიყვირდა თინათინი, — რომ მომაჩერებდები აქ, ახლა ხომ მიხვდი, რომ შეცდი, ჩვიდმეტი წლისთავზე მოგინდა დაქორწინება, შენს მოცლას რომ არ დაადგა საშველი?

გავწითლდი. ცოლი უცხოისთან მარცხვენდა და ხომ უნდა გამეცა პასუხი? მომედო ცეცხლი და მივეჭერი ცოლს:

— თი, გაბედნიერება კი არა, ახლა უნდა შემქონდეს განცხადება გაყრახე. მართლაც სადა დრო, მაგრამ საამისოდ კი' მოვიცილი, ქალბატონო!

ვთქვი ეს და გაგულისებული გავიჭერ კარისაკენ.

— შენ წადი მოუსაველეთში! — მომაძახა ჩემმა ცოლმა და ისიც კარისაკენ გამოქანდა, თან გამალებით ჩატუნა სურათები ჩანთაში და საკეტი ხელების ნერვიული მოძრაობით გაჩახაუნა.

— მოითმინეთ! — მოგვემა გამგის ბრძანების-მაგვარი ხმა.

მეხანკარავივით შევედქით.

— მოაწერეთ ხელი. — გვითხრა ხმადაბლა გამგემ. — ქორწინების მოწმობასაც ახლავ შეგივსებთ.

თუ ვინმეს ამ ქვეყნად გაოცებისაგან პირი დაუღია, მე მათ შორის ნამდვილად ყველაზე დიდ და ვალე პირი. — რა მოხდა-მეთქი? — ამოვიხრიალეთ.

— თქვენ ისე ბუნებრივად წაჩხუბეთ ერთმანეთს, რომ ძნელია კაცმა ეჭვი შეიტანოს თქვენს ცოლქმრობაში. ეს ყველაზე უტყუარი საბუთია ჩემთვის. მოაწერეთ ხელი.

დავმუნჯდით. შუბლზე სიძცხვილის ოფლმა დამასსა. ათი წუთის შემდეგ მე და ჩემი თინათინი ხელკავით გამოვედით მმაჩის ბიუროდან და ცოლქმრობის დამადასტურებელი ორი უტყუარი საბუთი გამოვიტანეთ.

უხმოდ მივაბიჯებდი. რატომღაც მეგონა, რომ თინაც იმასვე ფიქრობდა, რასაც მე—აღარ გამოგვეჩინა ის პირველი საბუთი, რომელიც, თურმე, ჩვიდმეტი წელი უნებურად გვიწევდა საბუთობას.

ბ. ჯამბაყური



2 — წიგნის გამოცემა და

წიგნის გამოცემა.

ყურადღება!

ამა წლის იანვრიდან ჟურნალი «ნიანგი» იწყებს სატირულ-იუმორისტული საზოგადოების «ნიანგის» სახელობის თასის გათამაშებას.

ასეთი თასის გათამაშება პირველია თასების გათამაშების ისტორიაში. ნიანგის თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა იმ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები და მუშაკები, აგრეთვე კერძო პირები (განურჩევლად სქესისა, პიროვნებისა, კანის ფერისა და ქონებრივი ცენზისა), რომლებიც გადასცილდნენ 16 წლის ასაკს და, რაც მთავარია, თავიანთი მოქმედებით დაიმსახურებენ ნიანგის ყურადღებას. თამაშები ჩატარდება ყველა დია და დახურულ დარბაზებში, ქუჩებში, მოედნებზე, რესტორნებსა და სასაუზმეებში, საპასუხისმგებლო თამაშები კი — უმაღლესი სასამართლოს დარბაზში.

შენიშვნა:

1. თასის გადაცემის ცერემონიული შედგება «ნიანგის» ფურცლებზე.
2. ყველაზე საპასუხისმგებლო თამაშების უხეში მონაწილენი, რომელთა შეხვედრები უმაღლესი სასამართლოს დარბაზში ჩატარდება, თამაშის დამთავრების შემდეგ დარბაზიდან არ გაიშვებიან.
3. რადგან თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების მსურველები არ არიან, რამაც შეიძლება ეს სასარგებლო ღონისძიება ჩაშალოს, ამიტომ თასის გათამაშება მოხდება ბჭულებითი წესით.

შენიშვნის შენიშვნა: 1. თასის ნიმუში გამოქვეყნებულ იქნება «ნიანგის» მორიგ ნომერში.

2. თასის გათამაშებაში, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღონ სპორტული საზოგადოების სხვადასხვა კლუბებმა.

გათამაშების მთავარი მსახი

ნიანგი



— შემებრაღე, შე საცოდავო, და იმიტომ გამოგყევი ცოლად.
— მართალი ხარ, ახლა ყველას ვებრაღები და ვეცოდები.

მინი-სტუკები

თავაზიანი კავალერი

— ეჰ!.. ამოიხრა მინადორამ. ცოტაოდენი რამ მეც მინახავს ცხოვრებაში; ბავშვი აღარ ვარ, უკვე ოცდაცხრა წელი შემისრულდა.
რას ბრძანებთ? — გაოცდა სევასტი. — თქვენი გარეგნობის მიხედვით ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ იფიქრებს კაცი.
— ნუთუ მართლა?! — აღტაცებით შესძახა მინადორამ. — მაშ თქვენ რამდენს მომცემდით?
სევასტიმ დაკვირვებით შეათვალიერა მინადორამ და მშვიდად მიუგო:
— ასე, ორპოცს...

საზოგადოებრივი აზრი

— ნესტორს ახლო ვეღარ ვეკარები, ისე ყარს ხაშის სუნით. ეს კაცი სულ არ უწყევს ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს. — უთხრა ვასასიმ პროკლეს.
მეორე დღით პროკლე ნესტორთან ერთად იჯდა სასაუზმეში და ხაშს შეექცეოდა. იგი მოხარული იყო, რომ ვასასის გაუთავებელი ქორაობისაგან თავდაღწევის საშუალება იპოვა.

გ. შარაშიძე

ქაკაბეული ნაკვესები

1. ისეთი ბუნძი იყო, მჭობშულს ყურსაც არ ათხოვებდა.
2. მთვრალი გააფრთხილეს: ცხვირიდან ძმარს გადუნთო, და სამტრესცის ღვინო კი არ დაძილუვიათ.
3. საცლოთ ვაჟს იმდენი თბში სცვიოდეს, თავზე საყრულად იცოფოდეს.
4. ნოქარი მსოლოდ სჭაწარა. ესეზოდეს, წონასწორობიდან კი მყიდული გამთქყავდა.
5. პრიცივოსმა მწრლას შუმთქმედუნას საზა გადაუყვას და საზგასმა ჩუზიათ.
6. საწყობის გამგეს იმდენი საფონელი გაყვანა, აღწრას შუბლუშული იყო.
7. მმართულის მოადვილო მანქანას მართავდა და თავი მმართუული ეტონათ.

ბაღიან ცდებოთ, თუ გინდათ, რომ ქალები შედეგადიანო სულს სასტიკედველი გამოიწვიონ. ნანდები იყოს და სხვა არაფერი. მე არ იცი რას ნიშნავს ეს სიტყვა. ამ როგორ განმარტავდნენ მას სახე თავის ლექსითონი. მაგრამ გეორგიან ქალები ბევრ რაგონს იზივს.

— რა შედეგად, ბედნიერი, რომი მივდივარ? — რა შედეგად, ბედნიერი, რომი მივდივარ?

ნან. ლ. ლევაია



— ეს, ერთი ამხიანა მის ნერვი მომცა!

მეგობარი

— დიდხ, ადამიანებო, მე უმბერო, ადგილ და შეხედეთ გვესივლი...
— ადამიანებო, მე უმბერო, ადგილ და შეხედეთ გვესივლი...
— ადამიანებო, მე უმბერო, ადგილ და შეხედეთ გვესივლი...

— მაგი არაფერად, მგინ სურსაზე ხალხის მიატობება დადგენილია...
— როგორ იტანა, ხალხი მიპატივებს სურსაზე და დარწმუნებულად, ადამიანები კი წყნად და ელვად...
— მე მინდა შედეგად ერთი გამოვიღო ადამიანების ცხოვრებაში... ვის არ ამხიან ახალ-გაზღვრებულნი მიპატივებს ჩემს მწყვეტილად ადამიანს...

— შედეგად, ბედნიერი, რომი მივდივარ? — შედეგად, ბედნიერი, რომი მივდივარ?

— როგორ მოგეხებოდნენ, ადგილი 300 წელიწადი... — როგორ მოგეხებოდნენ, ადგილი 300 წელიწადი... — როგორ მოგეხებოდნენ, ადგილი 300 წელიწადი...

— მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი!

— ეს მარა, თბილისდამ არაა? — ეს მარა, თბილისდამ არაა?

— მეგობარი, მე უმბერო, ადგილ და შეხედეთ გვესივლი...
— ადამიანებო, მე უმბერო, ადგილ და შეხედეთ გვესივლი...
— ადამიანებო, მე უმბერო, ადგილ და შეხედეთ გვესივლი...

— როგორ მოგეხებოდნენ, ადგილი 300 წელიწადი... — როგორ მოგეხებოდნენ, ადგილი 300 წელიწადი... — როგორ მოგეხებოდნენ, ადგილი 300 წელიწადი...

— მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი! — მეტი, მეტი, მეტი!

როგორ და ვინ ვართ

ერთ ჩემს მეგობარს უნივერსიტეტი გამოცდების მიღების დროს დავესწარი. მან სათვალეები მიმარჯვა. სახე გაიცივა და ისეთი გამოხედვებით მიიღო, რომ მე თავი მის სტუდენტად ვერ მივიცე. შემდეგ სტუდენტ გოგონას მივთხოვე და ჰკითხა: — აბა, რა მეტყევი მიიღონ შესაბამისად? — როგონად დაიწყო: — მიიღონ დაიბადე მეგობარე სტუდენტს მეორე ნახევარში, იგი ახლო ურთიერთობაში იყო, გოგონას და სწორად ამ მიზეზის გამო 1794 წელს გადასახლება ვინაობაში, სადაც გოგონე პირველ მისხტრად იყო: ზუსტად ამვე წელს დაიბადა დიდი ფრანგი რომანისტი იონორე დე ბალზაკი. შემდეგ ამის გოგონას ისე დაწერილობდა და ისე შესანიშნავად განიხილა ბალზაკის შემოქმედება, რომ ალტყეული მიიყვანა გამოხედვით და, რა თქმა უნდა, მე: სატრუქული სუთიანი აღიზინება.

— კი მაგრამ, ყველა სტუდენტმა რომ ბალზაკი ჩაებადო, ნუთუ ვერ შეამჩნი? — ვითხი ჩემს მეგობარს. — იყო რა გიბიზი, ჩემი ძმობი, — დაიწყო მან ავტორიტეტული ტონით, — მე ხელს ჩაიხივარა, იონორე დე ბალზაკის რეზი ვიცივე უნებინა წერილი, სადაც ვინაილური რომანისტი დასაბამისა, რომი სტუდენტს მეორე ნახევარში, იგი ახლო ურთიერთობაში იყო, გოგონას და სწორად ამ მიზეზის გამო 1794 წელს გადასახლება ვინაობაში, სადაც გოგონე პირველ მისხტრად იყო: ზუსტად ამვე წელს დაიბადა დიდი ფრანგი რომანისტი იონორე დე ბალზაკი. შემდეგ ამის გოგონას ისე დაწერილობდა და ისე შესანიშნავად განიხილა ბალზაკის შემოქმედება, რომ ალტყეული მიიყვანა გამოხედვით და, რა თქმა უნდა, მე: სატრუქული სუთიანი აღიზინება.

8. პაპარინი



— მიიცი, მიიცი, შენ ხომ არ იყავი გუ მან ტროლენგუსჩი ჩემს ცილს რომ დაგვიღო და დეოშე!

— მიიხარ, რომ თქვენს პალატაში ვილაყვს იმისი ვარაუდი აქვს.

დრანკული იუმორი

მ ო გ ზ ა უ რ ი

ერთ მდიდარ მოგზაურს თავისი მახინჯი ცოლი ყველგან თან დაჰყავდა.
 — ბატონო მოგზაურო, რატომ ყველგან დაგყავთ ეგ მახინჯი ქალი? — ჰკითხეს მას ერთხელ.
 — იმიტომ, რომ თავიდან ავიცილო მისი კოცნა და ალერსი გამგზავრებისა და ჩამოსვლის დროს.

ა ვ ი ც ო ლ ი

ერთმა კაცმა სიზმარი ნახა, ვითომ ხუთასი დოლარი იპოვნა, ეს სიზმარი დილით ცოლს უამბო. ცოლმა ქმარს მაგარი სილა გააწნა, გაღვიძებამდე რატომ ბანკში არ შეიტანეო.

ა რ ო გ ო რ ა ლ ბ ა ნ ე ნ ბ ი ბ ლ ი ო ტ ი ა კ ა ს

მოქალაქე № მივიდა თავის მეგობართან და წიგნი თხოვა.
 — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ წიგნებს არ ვანათხოვრებ.
 — ეგ რატომ?
 — იმიტომ, რომ უკან არასოდეს არ აბრუნებენ.
 — თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?
 — სავსებით, ეს გამოცდილებით ვიცი: მთელი ჩემი ბიბლიოთეკა ამგვარი გზით არის შედგენილი.

ო ჯ ა ხ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

— ბატონო მასწავლებლო, მამამ მითხრა, რომ ჩვენ მაიმუნების შთამომეფალნი ვართ. — უთხრა მორისმა მასწავლებელს.
 — გაჩუმდი, მე არ მაინტერესებს თქვენი ოჯახის ისტორია. — უპასუხა მკაცრად მასწავლებელმა.

უ შ რ ი ს ქ ი ბ ა

ერთმა ქალმა მოსამართლეს შესჩივლა თავის ქმარზე.
 — ვაშ კარგი, გაეყარეთ, — უთხრა მოსამართლემ.
 — არავითარ შემთხვევაში, ოც წელზე მეტია რაც მაწამებს და ახლა გავაბედნიერო?!

ნახ. ო. ჯიშკარიანისა



— დედიკო, ნუგზარის მამა გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან.
 — ჯერ ნუ გააგდებ, გენაცვალოს დედიკო, იქნებ აწინაურებენ.



წ ა რ წ ვ ი რ ა მ ე ნ შ ო ტ ე ბ ა მ ა მ ო ც ე მ ა ჯ ა

ჩიტი რაა, ისიც კი დებს სულ ყოველ წელს ახალ კვერცხებს! ახალ ბუდეს ხელსა ჰკიდებს, ძველში ჯდომა რომ არ შეერცხვებს; შენ სულ ძველი წიგნი გიდეფს, ვეღარ ამჩნევ ახალ მერცხლებს.

ქ რ ი ბ ი კ უ ლ ი წ ვ რ ი ლ ი ს ბ ა მ ა რ ტ ო ლ ე ბ ა

თუმცე კრიტიკოსი მახვილს აძგერებს, ჩვენი ავტორი დადის, დიდგულობს, გახარებული, რომ მის ნაწერებს ეს ერთი კაცი მაინც კითხულობს.

ა. გელოვანი

დანიშნეს თუ არა დირექტორად ევტიხი, იმ დღიდანვე დაიხსლოვა ყველაზე უპერსპექტივო და უნიჭო მუშაკი ლუტუ კაფანდარიძე. გამოიძახებდა ევტიხი კაფანდარიძეს და იწყებოდა გაუთავებელი საუბარი.

დაწესებულების ოცივე თანამშრომელი გაოცებული იყო ახალი დირექტორის მიერ ლუტუს მრჩევლად დანიშვნით.

ამდენ ხანს მუშაობს ლუტუ ჩვენთან და ჯერ კვვიანური არაფერი დასცდენია, ბუზღუნებდნენ განაწყენებული თანამშრომლები. მიუხედავად ყოველივე ამისა, დროსთან ერთად საქმეც წინ მიიწეოდა, ხოლო საქმის ფეხზე დამყენებელი ვინ იყო — ევტიხი თუ კაფანდარიძე, უდიდესი კითხვის ქვეშ რჩებოდა.

ამ საქმით პირადად ევტიხის პირადი მდივანიც დაინტერესდა, კარზე მიაყურა და სიტყვა-სიტყვით ჩაასტენოგრამა ევტიხ კარპეზიჩისა და ლუტუ კაფანდარიძის შორის ჩატარებული საუბარი, რის შემდეგ საუბრის სრული ტექსტი ჩაუთქადა ცხრამეტივე თანამშრომელს (მეოცე თვითონ იყო).

თურმე კაფანდარიძე ურჩევდა კარპეზიჩს, რომ მესამე კვარტალში გათვალისწინებული სამეურნეო ხარჯები გადმოეტანა მეორე კვარტალში, გაედიდებინა საკანცელარიო ხარჯები, რემონტი გადაედო წლის ბოლოსათვის, მოანგარიშებდნენ დაექვეითებინა ბუღალტერი ბურძგლა (ბურძგლას ამ სიტყვების გამო ტანში გაბურძგლა) და კიდევ სხვა მსხვილმან-წვრილმანი.

თანამშრომლები სულგანაბულნი ელოდნენ დირექტორის რეფორმებს. მეორე დღესვე კარპეზიჩმა მოიწვია თათბირი და ოცივე თანამშრომელი კვლავ გაოცებული დატოვა.

— დღესვე, — დაიწყო კარპეზიჩმა, — გადაგზავნეთ მოთხოვნა ბუღალტერიაში, რათა მეორე კვარტალში გათვალისწინებული სამეურნეო ხარჯები გადაიტანონ მესამე კვარტალში, მინიმუმამდე შემცირდეს საკანცელარიო ხარჯები, რემონტი დაიწყოს უკვე ამ კვირისათვის, ამავე დროს ჩვენი მთავარი ბუღალტრის ლენჩილიას პენსიაში გასვლის გამო მის შავივრად დაინიშნოს ესტატე ბურძგლა (ბურძგლას მაინც გაბურძგლა). და შემდეგ ყველა მსხვილმან-წვრილმან საკითხებში, რომელშიაც კი რაიმე დარიგება მისცა კაფანდარიძემ, კარპეზიჩმა საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მიიღო.

ყველასათვის ნათელი გახდა ახალი დირექტორის ხემძლევანელობის თავისებური მეთოდი.

ბ. დიდგანიძე

პრობები ნიანგს



ამხანაგო ნიანგო!

სანატრელო ნიანგო!

(ცაგერი)

(დიდი ჯინაში)



ცაგერიდან—ლენტეხამდე იმდენი ხიდი იყო დაზიანებული, რომ გზატკეცილების მეოცე უბანი დარღმა შეაწუხა: ვაითუ ამ გზებზე მოსიარულე ავტომანქანებს მარცხი შეემთხვეთ და მგზავრები წყალში გადაცვივდნენო.

მადლობა ღმერთს, აღნიშნულმა უბანმა უებარი გამოსავალი მონახა: მთელ ამ ტრასაზე უვარგისი ხიდები ჩაკეტა და მანქანებს და ადამიანებს საშუალება მისცა «დამოუკიდებლად» ტობონ წყალში. იცოცხლე, ისინი ბანაობენ.

აბა, რა? მაშ, ხიდებს ხომ ვერ შეაკეთებდა ჩვენი მეოცე უბანი ამ აფიგ ზამთარში?


გომარელო

რომ უთქვამთ—ცული არ მაკადრეს და კარგი არ მაღირსესო, სწორედ ასე დაგვემართა დიდჯინაშილებს. რამდენი ხანია, ჩვენი სოფელი ელექტროფიცირებულია, ნავთის სანათებიც კი გავაუქმეთ, მაგრამ რა გამოვიდა? ღამით ჩვენი განათება «ავიწყდებათ», ხოლო დღისით—მზის შუქიც თავზე საყრელი გვაქვს.

სოფელში ბამბის საბენტი ქარხანა წყლის ძალაზე მუშაობდა.—წყალი რად გინდათ, ელექტრონი აქ არ არისო?—წყალ-გაყვანილობა ქარხანაში მოგვიშალეს, დენი კი არ მოგვცეს. ასე უნდა შემოგჩვიოთ სასულე ორკესტრის დამლის შესახებაც.

ჩვენ კი გვეგონა, სოფლის გულშემმატიკერები მეტ ზრუნვას გამოიჩენდნენ ამ საქმისადმი.

ი. გულშემმატიკერი



ქვირფასო ნიანგო!

სანამ გუმათბესელების კრულვა ქუთაისის ავტოტრანსის კანტორის მესვეურებამდე მიდწევდეს, მოდი შენი საყვედურიც დაუმატე:

— თქვე კარ კაცეო, რა გაგიჭირდათ გუმათბესის მშენებელთა გადაყვან-გადმოყვანის მოწესრიგება-თქო? ტელმანის მოედანზე ყოველდღე ასობით გუმათბესელი რომ შემოგდაღლებოთ, მიაშველეთ განრიგით დაწესებული ორი დიზელი, ერთ მანქანას რაღას ართმევთ-თქო?

თუ თავი იმართლონ, შეასმინე, რომ თქვენგან „ნაწყალობე“ მანქანაში მხოლოდ ისინი შედიან, ვინც მკლავემგარი და თავზე ხელაღებულია-თქო. «წყალტუბოდან—ქუთაისში მიმავალი ქარის» არ იყოს, დანარჩენს თვითონ მიგიხუდებიან.

ივ. ბუხაიძე

კატივცემულო ნიანგო!

(ბაკურიანი)

სათხილამურო სეზონი კარზე გვადგია. იქნებ გაიხსენო ჩვენი «დავოსი»? იქნებ იკითხო, რა უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს ყველა კუთხიდან ჩამოსულ სპორტსმენებში?

— როგორ თუ რა? ჩვენი გადაზნექილი კულტსახლი ამდენი წლის განმავლობაში დანგრევას რომ გვპირდება და აქამდე კიდევ არ დანგრეულა, განა ეს განსაცვიფრებელი არ არის?

აბა, მაშ იმ სიბნელეზე ხომ არ განცვიფრდებიან—ჩვენს ქუჩებში რომ გამეფებულა? სამაგიეროდ იქ ხომ გაჩირაღდნებულა, სადაც კატყეო მურწეობის დირექტორის, მალაზის გამგის, ბულატრისა და სხვათა ბინებია! (საბჭოს თავმჯდომარეს ხომ ისედაც ეკუთვნის და ისაა!)

ო. კრი-ლი



სასურველო ნიანგო!

(სტუდქალაქი)

ჩვენ ნამდვილად გამოვარკვეეთ, რომ მართალი არ ყოფილა სიმღერა, რომელიც გვარწმუნებს «წყალში ვდგევარ—ცეცხლი მიკიდიანო», რაღა უჭირდა სტუდქალაქის აბანოს, რომ «წყალში იდგეს» თუნდ იმ საათებში, როცა იგი, ასე ვთქვათ, მუშაობს!

მაგრამ სტუდქალაქის აბანოს, რომელიც ცეცხლს გვიკი-

დებს, წყალი ხშირად უწყდება. უნდა გაჩვენა მაშინ ჩვენი მულარა ქალაქის წყალსადენისადმი.

ნეტავე დაგვეხმარებოდე, სასურველო ნიანგო, იმის გამოკვევაში, თუ როდემდის უნდა გაუწყალონ გული სტუდქალაქს უწყლობით?

ა. სულაბერიძე




ნახ. ვ. ფირცხალავასი
— თეატრის ბილეთები ვიშოვე, მალე, გვაგვიანდება.



— დამიცადე, ამ წუთში ჩავიცვამ.



— ვაგვიანდებათ!!!



რედაქტორი—ელგუჯა მალარაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბულიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. კელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელ. რედაქტორი—3-76 69. საერთო განყ. 2-13-29.

ამბროლაურის რაიონის მტს-ში ხშირია მანქანა-იარაღების დამტყრე-
ვის შემთხვევები. გასულ წელს მიღებული ახალი ტრაქტორი და ორი
ფარცხი უკვე გამოყენილია მწყობრიდან.

ნან. გ. კუმბურაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაღაღეც, არქიფო, რკინის მკვნეტულა ვარო, შენ უნდა დაიტრა-
ბახო, შარშან მიღებული ტრაქტორი და ორი ფარცხი ხვე ლოგორ მოაქციე,
ჯართადაც რომ არ გამოდგება!

